სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

სატენდერო დოკუმენტაცია

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის „საზოგადოებრივი ცენტრის“ გაზმომარაგების სამუშაოები

(CPV-45231220)

სახელმწიფო შესყიდვა
ელექტრონული ტენდერის საშუალებით

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ “ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

4. დანართი №1 - სამუშაოთა ჩამონათვალი და ფასების ცხრილი.

5. დანართი №2 - რეკვიზიტები.

6. დანართი #3 – გაზმომარაგების პროექტი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში (შემდგომში - სისტემა).

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.3. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

პრეტენდენტს შესაძლებლობა ეძლევა სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ მოითხოვოს სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ #67ა;

საკონტაქტო პირები:

ნათია ხუჯაძე, ტელ: 2 35 79 43; 5 (77) 61 55 50; ელ. ფოსტა: n.khujadze@sda.gov.ge

მარინე გვრიტიშვილი, ტელ: 2 35 79 34; 5 (77) 61 55 15; ელ. ფოსტა: m.gvritishvili@sda.gov.ge

2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

2.1 ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

შენიშვნა: საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც (მათი არსებობის შემთხვევაში).

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი უნდა მოიცავდეს გაზმომარაგების სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

3.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ განხორციელდება;

3.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების შესაბამისი ეტაპების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღისა;

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი:

4.1 გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულების ვადაა „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღეში, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კაჭრეთის „საზოგადოებრივი ცენტრი“ (მიწის ნაკვეთზე: 51.20.54.195);

5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები და ინფორმაცია:

5.1 იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები (დანართი #3);

5.2 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემული ფორმის შესაბამისად (დანართი #1);

5.3 ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესახებ.

6. ტექნიკური დავალება

6.1 შესყიდვის ობიექტი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კაჭრეთის „საზოგადოებრივი ცენტრის“ (მიწის ნაკვეთი: 51.20.54.195) გაზმომარაგების სამუშაოები (შემდგომში – სამუშაოები) (იხ. სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთული მასალა).

6.2 სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:

ა) გაზმომარაგების სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერთიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში).

ბ) გაზმომარაგების სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

გ) მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

დ) ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, შედგენილი იქნება შესაბამისი ფარული სამუშაოების აქტები. ფარული სამუშაოები წარმოებული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

ე) მშენებლობის დასრულების შემდგომ გაათავისუფლოს სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო ნარჩენებისაგან;

ვ) მიმწოდებელს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

ზ) დაფინანსების წყარო: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები;

თ) სამუშაოების წარმოების პროცესში მოხმარებული კომუნალური მომსახურების გადასახადებს აანაზღაურებს მიმწოდებელი.

ი) განხორციელებულ სამუშაოზე უნდა გავრცელდეს მინიმუმ 1 წლიანი საგარანტიო ვადა.

შენიშვნა: საგარანტიო პერიოდის ვადის ათვლა დაიწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ ეთანხმება ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს.

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი ---------- 2013 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (მდებარე ქ. თბილისი, წერეთლის ქ. №67ა) წარმოდგენილი ——————————— სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ---------- (მდებარე ქ. ----------) ---------- სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი", ყველანი ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ჟ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომლიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კაჭრეთის „საზოგადოებრივი ცენტრის" (მიწის ნაკვეთი: 51.20.54.195) გაზმომარაგების სამუშაოები (CPV- 45200000):

2.2 დეტალური სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-სა და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს -------- (----------) ლარს ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად გაწეული სამუშაოების მიხედვით წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის შესაბამისად;

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ისე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 შემსყიდველის მიერ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლები (----------).

3.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაზმომარაგების სამუშაოების შესრულება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

გ) მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში წარმოშობილი აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში შენობის პროექტში შესატანი ნებისმიერი ცვლილება წინასწარ (ასეთი ცვლილებით გამოწვეული სამუშაოების დაწყებამდე) უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

დ) განიხილოს შემსყიდველის საფუძვლიანი პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ე) „შემსყიდველ"-ს წარუდგინოს სამუშაოთა შესრულების შესახებ ფორმა (შემდგომში „ფორმა №2" რომელიც ასახავს შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ღირებულებას).

ვ) მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს და შემსყიდველს შეუთანხმოს სამუშაოების დროს გამოსაყენებელი მასალების ან/და მოწყობილობის ნიმუშები და შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები;

ზ) მონტაჟის დროს მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიმართოს ინსპექტირების ჯგუფს, რათა ერთობლივად შეიმუშაონ შესაბამისი მოქმედების ინსტრუქცია;

თ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით „შემსყიდველთან";

ი) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

კ) აანალიზაუროს სამუშაოების წარმოების პროცესში მოსული კომუნალური გადასახადები.

ნ) ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, შედგენილი იქნას შესაბამისი ფარული სამუშაოების აქტები შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

ო) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება;

ბ) პროექტში, სამშენებლო ნორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებით ცვლილების მოთხოვნა არ უნდა აჭარბებდეს 10%-ს.

გ) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია:

6.1 შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი სრულად უნდა პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

6.2. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს ——— წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან. ხარისხის გარანტია ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად შემსრულებლის მიერ შესრულებულ ყველა სამუშაოზე, მის ნაწილზე, სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულ ყველა მასალაზე.

6.3. ამ მუხლის 6.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეცვალოს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული სამუშაოების, საქონლის ან/და მომსახურების დაზიანების შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით ეცნობება მიმწოდებელს. შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას (არაუმეტეს ორი კვირა) დეფექტების აღმოსაფხვრელად.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის სამუშაოების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

7.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, შედგება შესაბამისი დეფექტური აქტი და მიმწოდებელს განესაზღვრება გონივრული ვადა (არაუმეტეს ორი კვირა) დეფექტების აღმოსაფხვრელად. მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი თუ წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალით ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას შეთანხმებულ ვადაში და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს წუნდებული სამუშაოს ღირებულების შემსყიდველისთვის შეთანხმებული ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში დაბრუნება.

7.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირება) და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ: ----------.

7.4. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ინსპექტირების ჩატარების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია.

8. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესრულებული სამუშაოს მიღება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის წერილობითი გაფორმებით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელის მოწერით და შესრულებული სამუშაოების ფორმა №-2-ის საფუძველზე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, შემსყიდველი ახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

9.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების შესაბამისი ეტაპების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით შედგენლი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღისა.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ან 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, მაგრამ პირგასამტეხლო არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს.

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

11.3. პუნქტი 6.3-ით გათვალისწინებული გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 7.2 პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადა.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს რომელიმე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

13.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2014 წლის ———————— ჩათვლით, გარდა მე-6, 7.2 და 11.1 პუნქტებისა.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6, 7.2 და 11.1 პუნქტები მოქმედებენ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს:

ა) ომით, დაპირისპირებით (იმის მიუხედავად, ომი იქნება გაცხადებული, თუ გამოუცხადებელი), ინტერვენციით, უცხოელ მტერთა ქმედებით;

ბ) აჯანყებით, ტერორიზმით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპიპრებული ძალაუფლებით, ან სამოქალაქო ომით;

გ) სამხედრო აღჭურვილობით, ასაფეთქებელი მასალებით, იონური რადიაციით ან რადიაციული დაბინძურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად მიმწოდებელი იყენებს ასეთ აღჭურვილობას, ასაფეთქებელ მასალებს, რადიაციას ან რადიო-აქტიურობას;

დ) ბუნებრივი კატასტროფებით;

ე) ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ქართულ ენოვან ეგზემპლარად.

16.2. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელსა, ხოლო ერთი – შემსყიდველს.

17. ხელშეკრულების დანართები:

17.1. ხარჯთაღრიცხვა დანართი №1;

17.2 პროექტი დანართი ---

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: **მიმწოდებელი**

დანართი №2

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

უფლებამოსილი ხელისმოწერა და ბეჭედი ----------